

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თსსა არქიტექტურის ფაკულტეტი 2014-2015 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან აცხადებს მიღებას სადოქტორო პროგრამაზე - არქიტექტურული კვლევები - (პროგრამული კონცენტრაციები: ქალაქგეგმარება და ლანდშაფტი, არქიტექტურის თეორია) პროგრამაზე მიიღება 9 დოქტორანტი (ფასიანი ადგილი)

(პროგრამის ხელმძღვანელები: გიორგი ბათიაშვილი, არქიტექტურის დოქტორი, თსსა სრული პროფესორი, ნანა ქუთათელაძე, არქიტექტურის დოქტორი, თსსა ასოცირებული პროფესორი, ბორის გოლუბჩიკოვი, არქიტექტურის დოქტორი, თსსა მოწვეული პროფესორი)

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებმა უნდა გაიარონ შემდეგი ეტაპები

პირველი ეტაპი: რეგისტრაცია

დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებმა 2015 წლის 10 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- სახელზე; განცხადება დეკანის
- ავტობიოგრაფია (CV); განმცხადებლის
- გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი; მაგისტრის ან მასთან
- დამადასტურებელი მოწმობული ასლი; პირადობის

- სამოტივაციო
წერილი, რომელშიც დასმული იქნება საკვლევ პრობლემა და მოცემული იქნება კანდიდატის ხედვა მისი გადაჭრის გზებზე;
- სადოქტორო
პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;
- სავარაუდო
სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა
- 3 წლის სამუშაო
გამოცდილება (შრომითი ხელშეკრულება ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი). უპირატესობა მიენიჭება შერჩეულ სფეროში პროფესიულ გამოცდილებას;
- უცხო ენის ცოდნის
დამადასტურებელი სერტიფიკატი ან აკადემიის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი მოწმობა;

მეორე ეტაპი: გამოცდა უცხო ენაში;

გამოცდა ჩატარდება 2015 წლის თებერვალს თსუ-ში. (თარიღი დასაზუსტებელია რასაც დამატებით გაცნობებთ)

გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება თსუ-ს ვებ-გვერდზე.

მესამე ეტაპი: პრეზენტაცია

2015 წლის 25 თებერვლიდან 26 თებერვლამდე ჩატარდება გასაუბრება/პრეზენტაცია იმ კანდიდატებთან, ვინც წარმატებით დაძლია უცხო ენის გამოცდა.

დოქტორანტობის კანდიდატი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე წარადგენს პრეზენტაციას საკვლევ თემის პრობლემატიკის შესახებ. გარდა პრეზენტაციისა დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული რეფერატი არა ნაკლებ 15 გვერდისა.

გასაუბრების შედეგები გამოქვეყნდება 2015 წლის 27 თებერვალს

გასაუბრების შედეგად გამოვლენილი წარმატებული კანდიდატები, აკადემიაში სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადდნენ არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანატში (მის: გრიბოედოვის ქ. #22, ახალი კორპუსი, ოთახი N709). 9 მარტიდან 15 მარტამდე.

შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული საბუთების წარმოდგენის გარეშე კანდიდატი ვერ გააფორმებს ხელშეკრულებას თსსა-სთან სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად.

დოქტორანტურაში სწავლის მსურველები დაგვიკავშირდით:

თსსა არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანატში. მის: გრიბოედოვის ქ. #22, ახალი კორპუსი, ოთახი N709;

ტელ. 2 93 69 51;

საკონტაქტო პირი: სოფიო გაბადაძე (577 73 50 37)

sgabadadze@gmail.com

***სერტიფიკატების ჩამონათვალი**

სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნას, ათვისუფლებს კანდიდატს ამ ენებში გამოცდისაგან. ასევე ამ ენებში გამოცდისაგან თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის კურსი აქვთ გავლილი გერმანულ, ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე.

სერტიფიკატების ჩამონათვალი

<u>გერმანული ენა</u>	Goethe – Zertifikat B2
<u>ინგლისური ენა</u>	CEFR B2
	IELTS exam – 5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	Pritman ESOL International
	TOEIC – 541
	TOEFL – 500 (paper - based) 173 (computer - based) 61 (internet - based)
<u>ფრანგული ენა</u>	Diplome de Langue Francaise (DL) (AF)
	Diplome d’Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP)

1. ვისაც აქვს ჩაბარებული: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, Sprachdiplom Kultusminister
2. Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH
 უნივერსიტეტებისთვის ათვისუფლება გერმანულში გამოცდისაგან.

რეფერატის შეფასების კრიტერიუმები

- საკვლევი თემის მკაფიოდ განსაზღვრა;
- კვლევის მიზნის მკაფიო ფორმულირება;
- სიახლე;
- თემის შესაბამისი საკვლევი მასალის მოძიება;
- კვლევის ზოგადი გეგმის მონახაზის არსებობა;
- კვლევის სავარაუდო მეთოდების განსაზღვრა;
- რეფერატის სიმწობრე და ლოგიკური სტრუქტურა